სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №99
(გამარტივებული შესყიდვა)

5 აგვისტო

ერთის მხრივ, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი ,,საქპატენტი“ (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი საფინანსო დეპარტამენტის უფროსის ვლადიმერ სიხარულიძის სახით, (მოქმედი სსიპ „საქპატენტის“ თავმჯდომარის 2013 წლის 03 იანვრის №04 ბრძანებით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე) და მეორეს მხრივ, ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნე'' (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის იამზე თინიკაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „მომსახურება“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება „ატენი“-ს სარეგისტრაციო მასალებში განხორციელებული ცვლილების გამოქვეყნება 2019 წლის 5 აგვისტოს გაზეთში ,,გორის მაცნე“ (CPV-79824000).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს: **100.00 (ასი) ლარს.**

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში – ლარში.

4.2. ანგარიშსწორების განსახორციელებლად მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტი:

4.2.1. მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი;

4.3. ანგარიშსწორება განხორციელდება 4.2. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში, მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5. მომსახურების მიღება–ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს: სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის მთ. სპეციალისტი სოფიო ებრალიძე.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია: შემსყიდველს გაუწიოს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება საქართველოში მოქმედი ნორმებითა და სტანდარტებით.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

8.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის 10%-ის ოდენობით, რომლის გადახდაც მოხდება შემსყიდველის მიერ დასაბუთებული წერილობით მოთხოვნის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი;

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომელთა არსებობის გამო მხარისათვის შეუძლებელი იყო სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება (სტიქიური მოვლენები, საომარი მოქმედებები, ეპიდემია, კარანტინი, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, სახელმწიფო გადატრიალება და სხვ.).

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომელისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა

გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მესამე პირს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად (ერთი ეგზემპლიარი მიმწოდებელს, ერთი - შემსყიდველს).
13.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრამდე.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
საქართველოს ინტელექტუალური საკუთ- რების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“ მისამართი: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №5 საიდენტიფიკაციო კოდი: 203831363 მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ანგ. № 707807132	ა(ა)იპ ქ. გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი ,,გორის მაცნე'' მის: ქ. გორი, სტალინის ქ. №16 ; საიდენტიფიკაციო კოდი: 417873849 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა სახაზინო კოდი: 740907499
_____	_____
საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ვლადიმერ სიხარულიძე	დირექტორი იამზე თინიკაშვილი iamze Tinikashvili Digitally signed by iamze Tinikashvili Date: 2019.08.05 10:43:06 +04'00'